

ვასაძის პური

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2023 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3-5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10-27
მმართველობით ანგარიშგება -----	28-32

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ვასაძის პური“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვასაძის პური“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს(ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“(IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადაც და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე

და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ

შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს.კ 205198212) (SARAS-F 798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა SARAS-A-374286)

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2024 წელი

შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს.კ 205198212) (SARAS-F 798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა SARAS-A-374286)

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2024 წელი



	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	14 218 270	8 751 245
არამატერიალური აქტივები	4	2 356	3 270
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	9	421 280	421 280
სულ გრძელვადიანი აქტივები		14 641 906	9 175 795
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	1 008 997	287 509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	7 644 552	6 514 819
მარაგები	7	1 536 102	1 438 742
სულ მოკლევადიანი აქტივები		10 189 650	8 241 069
მთლიანი აქტივები		24 831 556	17 416 864
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6 656 905	5 502 400
გადაფასების რეზერვი		297 906	297 906
სულ კაპიტალი		6 955 011	5 800 507
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	15 343 552	9 812 240
ანარიცხები		29 154	23 762
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15 372 705	9 836 002
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10		110 000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1 927 343	1 155 094
საგადასახადო ვალდებულებები	8	464 508	403 274
გადასახდელი პროცენტი	8	111 988	111 988
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 503 840	1 780 356
მთლიანი ვალდებულებები		24 831 556	11 616 357
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		24 831 556	17 416 864

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 29 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტერაძე

შპს ვასაძის პური

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	3	14 218 270	8 751 245
ძირითადი საშუალებები	4	2 356	3 270
არამატერიალური აქტივები	9	421 280	421 280
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		14 641 906	9 175 795
სულ გრძელვადიანი აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები	5	1 008 997	287 509
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	7 644 552	6 514 819
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1 536 102	1 438 742
მარაგები		10 189 650	8 241 069
სულ მოკლევადიანი აქტივები		24 831 556	17 416 864
მთლიანი აქტივები			
მთლიანი კაპიტალი		200	200
საწესდებო კაპიტალი		6 656 905	5 502 400
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		297 906	297 906
გადაფასების რეზერვი		6 955 011	5 800 507
სულ კაპიტალი			
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	10	15 343 552	9 812 240
გრძელვადიანი სესხები		29 154	23 762
ანარიცხები		15 372 705	9 836 002
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	10		110 000
მოკლევადიანი სესხები	8	1 927 343	1 155 094
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	464 508	403 274
საგადასახადო ვალდებულებები	8	111 988	111 988
გადასახდელი პროცენტი		2 503 840	1 780 356
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		24 831 556	11 616 357
მთლიანი ვალდებულებები		24 831 556	17 416 864
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები			

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 29 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტრაძე

შპს „ვასაპის პური“

*კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში*

	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	33 783 962	28 059 054
თვითღირებულება	(12 914 044)	(13 527 906)
საერთო მოგება	20 869 918	14 531 148
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(8 919 693)	(7 375 115)
მიწოდების დანახარჯები	(8 709 760)	(5 252 663)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(415 322)	1 311 715
სხვა ხარჯები	-	-
საოპერაციო მოგება	2 825 143	3 215 085
ფინანსური შემოსავალი	115 110	234 878
ფინანსური ხარჯი	(1 278 024)	(775 094)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	1 162 914	(540 216)
მოგება დაბეგვრამდე	1 662 229	2 674 869
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	1 662 229	2 674 869
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი	1 662 229	2 674 869

დირექტორი
მერაბი ვასაძე
2024 წლის 29 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცენტრაძე

შპს „ვასაძის ჰური“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	33 783 962	28 059 054
თვითღირებულება	(12 914 044)	(13 527 906)
საერთო მოგება	20 869 918	14 531 148
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(8 919 693)	(7 375 115)
მიწოდების დანახარჯები	(8 709 760)	(5 252 663)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(415 322)	1 311 715
სხვა ხარჯები	-	-
საოპერაციო მოგება	2 825 143	3 215 085
ფინანსური შემოსავალი	115 110	234 878
ფინანსური ხარჯი	(1 278 024)	(775 094)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	1 162 914	(540 216)
მოგება დაბეგვრამდე	1 662 229	2 674 869
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	1 662 229	2 674 869
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი	1 662 229	2 674 869

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 29 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტურაძე

შპს „ვასაძის პური“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით, ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	2 984 709	3 317 815
წმინდა მოგება			2 674 869	2 674 869
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2 674 869	2 674 869
გაცემული დივიდენდი			(157 895)	(157 895)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-35000		717	(34 283)
2022 წლის 31 დეკემბერი	200.00	297 906	5 502 400	5 800 507
წმინდა მოგება			1 662 229	1662 229
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 662 229	1662 229
გაცემული დივიდენდი			(507 740)	(507 740)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			16	16
2023 წლის 31 დეკემბერი	200.00	297 906	6 656 905	6 955 011

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 29 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტერაძე

შპს „ვასაძის პური“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით, ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	2 984 709	3 317 815
წმინდა მოგება			2 674 869	2 674 869
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2 674 869	2 674 869
გაცემული დივიდენდი			(157 895)	(157 895)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-35000		717	(34 283)
2022 წლის 31 დეკემბერი	200.00	297 906	5 502 400	5 800 507
წმინდა მოგება			1 662 229	1662 229
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 662 229	1662 229
გაცემული დივიდენდი			(507 740)	(507 740)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			16	16
2023 წლის 31 დეკემბერი	200.00	297 906	6 656 905	6 955 011

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 29 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტრაძე

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	29 811 997	27 393 793
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(23 046 344)	(20 682 344)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(5 453 584)	(4 420 986)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხა	-	(17 301)
გადახდილი გადასახადები	(3 841 967)	(2 945 093)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(216 749)	(163 782)
სხვა შემოსავლები	106 073	100 059
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(165 488)	(167 028)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(2 806 063)	(902 682)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(32 153)	(5 883)
მიღებული პროცენტები	-	93 007
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(32 153)	87 124
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	32 297 481	18 492 726
სესხების დაფარვა	(27 235 272)	(16 928 088)
გადახდილი პროცენტები	(1 069 407)	(682 492)
გადახდილი დივიდენდები	(410 000)	(150 000)
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	(7 102)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	3 582 802	725 044
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	(23 099)	(12 958)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(721 488)	(103 472)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	287 509	390 981
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 008 996	287 509

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 30 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტერაძე

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	29 811 997	27 393 793
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(23 046 344)	(20 682 344)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(5 453 584)	(4 420 986)
ანგარიშგაღებულ პირებზე გაცემული თანხა	-	(17 301)
გადახდილი გადასახადები	(3 841 967)	(2 945 093)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(216 749)	(163 782)
სხვა შემოსავლები	106 073	100 059
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(165 488)	(167 028)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(2 806 063)	(902 682)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(32 153)	(5 883)
მიღებული პროცენტები	-	93 007
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(32 153)	87 124
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	32 297 481	18 492 726
სესხების დაფარვა	(27 235 272)	(16 928 088)
გადახდილი პროცენტები	(1 069 407)	(682 492)
გადახდილი დივიდენდები	(410 000)	(150 000)
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	(7 102)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	3 582 802	725 044
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	(23 099)	(12 958)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(721 488)	(103 472)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	287 509	390 981
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 008 996	287 509

დირექტორი

მერაბი ვასაძე

2024 წლის 30 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტერაძე

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „ვასადის პური“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 2006 წლის 27 ივლისს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო კოდით 237077961.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის წარმოება, ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება, ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება, ვაჭრობა ფეხილით და სხვა ნედლეულით. 2011 წელს განახორციელეს საპილოტე პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა შ.პ.ს. „ვასადის პურის“ ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით გააჩნდა საკონდიტრო ქარხანა სოფელ ფონიჭალაში და ოზურგეთის რაიონ სოფელ მაკვანეთში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.#1.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- მერაბი ვასაძე (პ/ნ33001015109) 92%
- ბიძინა ვასაძე (პ/ნ33001010773) 8%

კომპანიის გენერალური დირექტორია მერაბი ვასაძე.

კომპანია ფლობს შპს „გიორგი-გიო“-ს 100%-იან წილს, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ქ.რუსთავში არსებული ნაგებობის გაქირავება. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 363 და 397 ადამიანს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) თანახმად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებასა პროგნოზირებად მომავალში.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება. ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, **წრფივი ცვეთის მეთოდის** გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5%
- მანქანა-დანადგარები 15%-20%
- ოფისის აღჭურვილობა 15%-20%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 15%-20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქსაქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	გირვანქა სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844	2.9322	3.2581	0.03677
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753	3.2085	3.4228	0.02992

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებითი შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თ1ვდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული

დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები

ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

2.1. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდში მოიცვას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში

შენიშვნა - 3

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ჯამი
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	566 989	111 956	2 326 446	7 047 766	141 678	470 940	782 610	57 033	11 505 419
შესყიდვა			3 525	1 439 608	2 703	82 551	228 416		1 756 803
გასვლა		-	(2 759)		(805)	(4 126)	(4 ,820)		(57 509)
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია		(111 956)	111 956						0
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	566 989	-	2 439 169	8 487 374	143 576	549 365	961 206	57 033	13 204 712
შესყიდვა	25 500	71 003		5 825 410	1900	110 393	490 564		6 524 770
გასვლა				(33 572)	(1 027)	(415)	(153 191)		(188 206)
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						-			-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	592 489	71 003	2 439 169	14 279 211	144 448	659 343	1 298 580	57 033	19 541 277
დაგროვილი ცვეთა									
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-		677 535	2 411 109	89 051	294 109	359 276	27 644	3 858 724
ცვეთის ხარჯი	-		85 844	414 225	16 348	88 347	57 313	3 802	665 879
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(180)	(22 397)	(1 197)	(5 028)	(44 532)		(73 333)
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით			763 199	2 802 937	104 202	377 428	372 057	31 447	4 451 270
ცვეთის ხარჯი	-		99 332	698 459	14 486	90 433	153 916	3 802	1 060 428
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა				(33 572)	(1 257)	(653)	(153 191)		(188 691)
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-			862,531	3,467,823	117,414	467,208	372,782	35,249
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
2021 წლის ბოლოს	566 989	-	1 576 104	4 636 657	52 627	176 832	423 335	29 389	7 646 695
2022 წლის ბოლოს	566 989	-	1 603 163	5 684 437	39 373	171 937	589 149	25 587	8 753 442
2023 წლის ბოლოს	592 489	-	1 508 224	10 811 388	27 035	192 135	925 798	21 785	14 218 270

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში

შენიშვნა-4

არამატერიალური აქტივები

ლარი

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს	6 094	-	-	6 094
შემოსვლა	-			-
გასვლა				-
2022 წლის ბოლოს	6 094	-	-	6 094
შემოსვლა	-			-
გასვლა				-
2023 წლის ბოლოს	6 094	-	-	6 094
დაგროვილი ამორტიზაცია				
2021 წლის ბოლოს	1 910	-	-	1 910
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	-			-
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	914			914
2021 წლის ბოლოს	2 824	-	-	2 824
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	-			-
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	914			914
2023 წლის ბოლოს	3 738	-	-	3 738
საბალანსო ღირებულება				
2021 წლის ბოლოს	5 098	-	-	5 098
2022 წლის ბოლოს	4 184	-	-	4 184
2023 წლის ბოლოს	2 356	-	-	2 356

შენიშვნა-5

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	256 590	91 410
ეროვნული ვალუტა ბანკში	94 634	114 611
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	657 773	81 488
ს უ ლ:	1 008 997	287 509

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შენიშვნა-6

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	6 474 293	4 910 032
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1 164 919	1 599 447
საწარმოს პერსონალის ტრანზიტული ანგარიში	5 340	5 340
ს უ ლ:	7 644 552	6 514 819

შენიშვნა- 7

მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
მზა პროდუქცია	265 058	248 283
ნედლეული	1 006 300	903 540
საქონელი	11 871	8 644
სხვა მარაგები	252 873	278 275
ს უ ლ:	1 536 102	1 438 7 42

შენიშვნა-8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	1 610 830	725 941
გადასახელი ხელფასები	546 064	429 153
საგადასახადო ვალდებულებები	346 946	403 274
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		111 988
ს უ ლ:	2 503 840	1 670 356

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე

შენიშვნა-9

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

	31.12.2023	31.12.2022
100%-იანი წილი შპს "გიორგი-გიო"	456280	456280
სულ	456 280	456 280

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში**შენიშვნა-10****სესხები**

	31-12-23	31-12-22
თი ბი სი ბანკის სესხი	13,514,854	7,642,744
საკრედიტო ხაზი	1,828,698	2,169,497
სესხი ფ/პირისაგან	-	60,000
სესხი ი/პირისაგან	-	50,000
ს უ ლ:	15,343,552	9,922,240

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადები და საპროცენტო განაკვეთები:

1. სესხი # 1 დაფარვის ვადა 05.07.2028წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 14.2%
2. სესხი #2 დაფარვის ვადა 20.10.2028წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 5.2%
3. სესხი #3 დაფარვის ვადა 20.10.2024წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 5.2%
4. სესხი #4 დაფარვის ვადა 20.10.2028წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 5.3%
5. საკრედიტო ხაზი 12.5-13.5%

ქვემოთ მოცემულია სესხის ანალიზი და ვალდებულებების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან შესაბამისი პერიოდისათვის:

სესხები

	2023	2022
საწყისი ნაშთი	9 922 240	9 737 722
საპროცენტო ხარჯი	1 069 407	692 860
მიღებული სესხი	32 227 481	18 492 726
ძირი თანხის გადახდა	(27 165 272)	(16 928 088)
გადახდილი პროცენტი	(1 069 407)	(692 860)
გადაფასების ეფექტი	359 103	(1 380 119)
სულ მიღებული სესხი	15 343 551	9 922 240

შენიშვნა-11**ამონაგები**

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზიციიდან	35 398 845	29 192 521
სხვა გაყიდვები	29 451	9 417
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(1 687 170)	(1 192 218)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	42 836	49 335
ს უ ლ:	33 783 962	28 059 054

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში

შენიშვნა-12

თვითღირებულება
ლარი

	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	11 967 268	12 738 245
წყლის ხარჯი	66 058	45 644
ბუნებრივი აირის ხარჯი	344 124	307 741
ელ.ენერგიის ხარჯი	485 687	428 932
საწარმოო ხარჯი	7 643	7 345
გაყიდული ნედლეული	43 265	-

ს უ ლ:

12 914 044 13 527 906

შენიშვნა-13

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	6 894 387	5 590 602
საპენსიო ანარიცხების ხარჯები	109 481	88 090
ცვეთა და ამორტიზაცია	972 927	630 356
საკანცელარიო ხარჯი	25 398	6 645
საგადასახადო ხარჯი	135 515	162 643
საკონსულტაციო ხარჯი	32 024	36 798
მიმდინარე რემონტის ხარჯი	105 590	10 296
ბანკის მომსახურება	28 985	60 705
დაზღვევა	48 254	16 967
საქველმოქმედო ხარჯი	9 395	1 941
იჯარის ხარჯი	110 401	92 000
მივლინების ხარჯი	97 432	54 075
სატრანსპორტო ხარჯი	57 841	90 869
კომუნიკაციის ხარჯი	17 452	13 031
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	277 978	520 097

ს უ ლ:

8 919 693 7 375 115

შენიშვნა-14

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31.12.2023	31.12.2022
სარეკლამო ხარჯი	440167	420 284
საწვავის ხარჯი	842717	1 083 246
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი		
მარკეტინგული მომსახურება	7060185	3 749 132
სხვა ხარჯი	366691	
ს უ ლ:	8 709 760	5 252 663

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, ქართულ ლარში

შენიშვნა-15

ფინანსური შემოსავალი

	31.12.2023	31.12.2022
სხვა შემოსავლები	32 170	138 838
საპროცენტო შემოსავლები	82 493	93 007
ძირითადი საშუალების ცვეთის ჩამოწერა	447	3 033
ს უ ლ:	115110	234878

შენიშვნა-16

ფინანსური ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო ხარჯები	1 069 407	692 860
არასაოპერაციო ზარალი	-	14 575
ჯარიმა სესხის ნაადრევად დაფარვაზე	-	472
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	123 755	57 187
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	84 862	10 000
ს უ ლ:	1 278 024	775 094

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	დაუფარავი ნაშთი 31.12.2022	ტრანზაქციის ღირებულება 2023წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2022წელი
<i>ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:</i>				
დაუფარავი ნაშთების თანხა:				
სავაჭრო მოთხოვნები	1 495	3 810		
მისაღები სესხი	-	-	-	
სულ მოთხოვნები	1 495	3 810		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5 318	540	10 730	27 066
შემოსავალი რეალიზაციიდან		-	-	
საიჯარო შემოსავალი	-	-	8 475	48 762
იჯარის ხარჯი	200	200	200	2 400
გადასახდელი სესხი		110 000		110 000

18. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

-საპროცენტო რისკი;

-სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023წ	31 დეკემბერი 2022წ	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	1 008 997	287 509	1 296 506
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	7 644 522	6 514 819	14 159 371
სულ ფინანსური აქტივები		8 653 549	6 802 328	15 455 877
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	10	15 343 552	9 922 240	25 265 792
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1 927 343	1 155 094	3 082 437
სულ ფინანსური ვალდებულებები		17 270 895	11 077 334	28 348 230

გ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	1 008 997			1 008 997
საფქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7 644 552	-	-	7 644 552
აქტივები	8 653 549	-	-	8 653 549
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(1 927 343)			(1 927 343)
მიღებული სესხები		(15 343 552)		(15 343 552)
ვალდებულებები	(1 927 343)	(15 343 552)		(17 270 895)
ლიკვიდურობის პოზიცია	6 726 206	(15 343 552)	-	(8 6157 346)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისათვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი

31 დეკემბერი 2023 წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(188 813)	188 813	(2 151 384)	2 151 384

ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები გაუთვალისწინებელი გარემოებები**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს: გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით); კანონმდებლობიდან; ან სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან

გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო პროცესები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული, მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლოა ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებლებზე ჯამურად გაცემულია დივიდენდი 284829 ლარის ოდენობით. ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ ნიშნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენას, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გაჟღერებას მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი მოითხოვს.



1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს. „ვასაძის პური“ არის კომპანია, რომელიც 2001 წლიდან ოზურგეთში ახორციელებს პურ-ფუნთუშეულის წარმოებას. მაღალი ხარისხის და კარგი გემოვნური თვისებების გამო კომპანიის პროდუქციამ სწრაფად მოიპოვა ნდობა და აღიარება ჯერ ადგილობრივ მომხმარებელთა შორის, ხოლო შემდგომ მიმდებარე რეგიონების მოსახლეობაში. ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებულმა წარმატებამ კომპანიას მისცა შუალეობა და სტიმული, რომ გაეფართოებინა წარმოება და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა. 2011 წელს კომპანიამ განახორციელა პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა კომპანიის ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“. სოფელ მაკვანეთში ამოქმედდა მცირე მასშტაბის საკონდიტრო საწარმო, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმსახურა მომხმარებელთა კეთილ განწყობა.

კომპანიას წარმატებული საქმიანობით წლებია წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. ინოვაციურმა ხედვამ, სიახლის ძიებამ, სწორმა ეკონომიკურმა გათვლებმა და რაც მთავარია კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ, როგორც საქმისადმი, ასევე მომხმარებლისადმი, კომპანია „სანდომი“ მალე აქცია ბრენდად, რომელსაც ენდობიან საწარმოში დასაქმებულია 300-ზე მეტი ადამიანი და ეს ციფრი კომპანიის გაფართოებასთან ერთად კიდევ აგრძელებს ზრდას.

2013 წლიდან კომპანიის საქმიანობაში ახალი გამოწვევები გაჩნდა. სექტემბერში გაიხსნა გაცილებით დიდი და მამუტაბური საკონდიტრო საწარმო თბილისში, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმკვიდრა ადგილი დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოს ბაზრებზე.

„სანდომი“ არის თანამედროვე, სწრაფად მზარდი, დინამიური, ინოვაციური ბრენდი, რომელიც დღეისათვის 100-ზე მეტი დასახელების მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს.

„სანდომი“-ს საწარმო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, პროფესიონალთა გუნდი უცხოელ კოლეგებთან ერთად მუდმივად მუშაობს პროდუქციის დახვეწაზე და განახლებაზე. საწარმოში პერიოდულად მოწვეულნი არიან უცხოელი ტექნოლოგები. თანამშრომლები გადიან ინტენსიურ ტრენინგებს უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

კომპანია უკვე ISO:22000-2005 სტანდარტის მფლობელია, რაც იმის დასტურია, რომ სანდომი აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, ქართულ პროდუქტს. რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მზადდება. სანდომისთვის ეს დიდი პასუხისმგებლობასა და პატივთან ასოცირდება. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ჩვენი პროდუქტი ნამდვილად კონკურენტუნარიანია და დაარსებიდან დღემდე ამართლებს თავის სახელს.

საკონდიტრო კომპანია სანდომი 2020 წელს კიდევ ერთი ჯილდოს "ოქროს ბრენდის" მფლობელი გახდა, კომპანია "გლობალ იდეა"-ს მიერ.

კომპანია ასევე რამოდენიმე წელია სატელევიზიო წარმატებული გასართობი პროექტების სპონსორი გახლავთ.

ნედლეულის და მასალების შეძენა ხდება, როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ასევე ხდება მასალის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან,

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია - საკონდიტრო პროდუქცია და ტკბილეული გამოირჩევა ხარისხით და კონკურენტუნარიანი ფასით. ამ პროდუქციას შეუძლია ჩაანაცვლოს იმპორტი.რომ ეტაპობრივად ჩაანაცვლოს იმპორტირებული პროდუქცია ადგილობრივად წარმოებული მაღალი ხარისხის და დაბალი ღირებულების სპროდუქტით. „ვასადის პური“-ის კერძოდ კი „სანდომის“ ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქცია დაკავშირებულია ნაკლებ დანახარჯებთან, რაც ქმნის შეთავაზებას და გარემოს რომელიც იმპორტირებული პროდუქციის ჩაანაცვლებას გარდაუვალს ხდის.

2022 წელს გაიზარდა ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი, შეიცვალა და გაუმჯობესდა ხარისხი, ასევე სამომავლოდ იგეგმება და უკვე მოლაპარაკების პროცესში ვართ ვაფლის ხაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დაგეგმილია ახალი დანადგარების მთელი კომპლექტის შეძენა რაც მოიტანს ხარისხიან პროდუქციას და დამატებით შემოსავალს.

კომპანია აკმაყოფილებს საერთაშორისო ISO 22000: 2005 სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება HACCP-ის პრინციპებს. იგი მუდმივად აკონტროლებს წარმოების მთლიან ჯაჭვს - ნედლეულის მიღებას და შენახვას, წარმოების პროცესს, მზა პროდუქციის შენახვას და მის განაწილებას მომხმარებელზე.

შპს ვასადის პურის კონკურენტულ უპირატესობებს წარმოადგენს:

- ❖ მაღალი ხარისხის პროდუქცია;
- ❖ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და ტენდენციებზე ადაპტირების უნარი;
- ❖ მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- ❖ ხელმისაწვდომი ფასები

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული კონკურენტებისა და ფასების შესწავლას.

კონკურენციის ამაღლების მიზნით იგი ახორციელებს სარეკლამო კამპანიებსაც, მაგ: სარეკლამო სტენდის დაქირავება, რეკლამის განთავსება რადიო მაუწყებლობაში. ამ მიზნებით გაწეული რესურსები მთლიანად უკავშირდება კომპანიის შიდა ძალებს და არა გარე ოფიციალურ კვლევას.

4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ.

შპს „ვასადის პურს“ გააჩნია დაფუძნებული შვილობილი კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე , შპს გიორგი-გიო, რომლის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარით გაცემა. სხვა შვილობილი კომპანიები არ გააჩნია არც საქართველოს ტერიტორიაზე და არც საზღვარგარეთ.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია საკუთარი აქციები, აგრეთვე იგი არ ფლობს და არ ვაჭრობს სხვა კომპანიის აქციებით.

6. აუცილებელი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	14 218 270	8 751 245
არამატერიალური აქტივები	4	2 356	3 270
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	9	421 280	421 280
სულ გრძელვადიანი აქტივები		14 641 906	9 175 795
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	1 008 997	287 509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	7 644 552	6 514 819
მარაგები	7	1 536 102	1 438 742
სულ მოკლევადიანი აქტივები		10 189 650	8 241 069
მთლიანი აქტივები		24 831 556	17 416 864
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6 656 905	5 502 400
გადაფასების რეზერვი		297 906	297 906
სულ კაპიტალი		5 800 507	5 800 507
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	15 343 552	9 812 240
ანარიცხები		29 154	23 762
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15 372 705	9 836 002
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10		110 000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1 927 343	1 155 094
საგადასახადო ვალდებულებები	8	464 508	403 274
გადასახდელი პროცენტი	8	111 988	111 988
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 503 840	1 780 356
მთლიანი ვალდებულებები		24 831 556	11 616 357
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		24 831 556	17 416 864

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე

არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდისუნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე.

რისკის უმთავრესი სახეები: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები:

31 დეკემბერი 2023 წელი	აშშდოლარისგავლენა		ევროსგავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/ზარალი	(188 813)	188 813	(2 151 384)	2 151 384

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2023წ	31 დეკემბერი 2022წ	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1 008 997	287 509	1 296 506
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7 644 522	6 514 819	14 159 371
სულ ფინანსური აქტივები	8 653 549	6 802 328	15 455 877
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	15 343 552	9 922 240	25 265 792
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 927 343	1 155 094	3 082 437
სულ ფინანსური ვალდებულებები	17 270 895	11 077 334	28 348 230

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	1 008 997			1 008 997
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7 644 552	-	-	7 644 552
აქტივები	8 653 549	-	-	8 653 549
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(1 927 343)			(1 927 343)
მიღებული სესხები		(15 343 552)		(15 343 552)
ვალდებულებები	(1 927 343)	(15 343 552)		(17 270 895)
ლიკვიდურობის პოზიცია	6 726 206	(15 343 552)	-	(8 617 346)

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი ----- მ. ვასაძე

29 სექტემბერი 2024წ
თბილისი, საქართველო

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	1 008 997			1 008 997
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7 644 552	-	-	7 644 552
აქტივები	8 653 549	-	-	8 653 549
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(1 927 343)			(1 927 343)
მიღებული სესხები		(15 343 552)		(15 343 552)
ვალდებულებები	(1 927 343)	(15 343 552)		(17 270 895)
ლიკვიდურობის პოზიცია	6 726 206	(15 343 552)	-	(8 6157 346)

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი

_____ მ. ვასაძე

29 სექტემბერი 2024წ
თბილისი, საქართველო



